ნათია ბურჯანაძე

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი

2002-2003 წლებში სწავლობდა ქ.ზაარბიუკენის (გერმანია) უნივერსიტეტში „გერმანული, როგორც უცხო ენის“ პროგრამაზე. 2004 წელს დაასრულა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი გერმანისტიკის სპეციალობით და მიენიჭა ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

2004 წლიდან მუშაობდა გერმანულ-ქართულ სკოლაში „ანი-ცეტი“ გერმანული ენის პედაგოგად. 2007-2009 წლებში მუშაობდა ფონდ „განათლების ინსტიტუტში“ გერმანული ენის სწავლების მეთოდიკის ტრენერად. 2006-2007 წლებში დასაქმებული იყო გამოცდების ეროვნულ ცენტრში. 2008-2009 წლებში მუშაობდა „ფრანკ შრაიერის ენების ცენტრში“ გერმანული ენის პედაგოგად და სწავლების კოორდინატორად. 2010 წლიდან 2015 წლამდე მუშაობდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე დეკანის თანაშემწედ. 2011 წლიდან დღემდე ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის ენების დიდაქტიკის კვლევითი ცენტრის გერმანული ენის პედაგოგი. გერმანიასა (მანჰაიმი, ბერლინი, ჰაიდელბერგი) და საქართველოში მონაწილეობდა სხვადასხვა სემინარსა და ტრენინგში გერმანული ენის სწავლების მეთოდიკის განხრით.

2013 წლიდან არის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი. 2015 წლიდან დღემდე არის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი. 2017 წლის მაისიდან იკავებს უმაღლესი განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტის პოზიციას.